ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №29
2015 წლის 4 სექტემბერი

ქ.ზუგდიდი

,,მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლოატაციაში მიღების), სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების თაობაზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემის (მასში ცვლილებების შეტანის) მოსაკრებლის (მათ შორის დაჩქარებული მომსახურების) გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 სექტემბრის №31 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

,,მშენებლობის (განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობის გარდა) ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლოატაციაში მიღების), სახელმწიფო-ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების თაობაზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემის (მასში ცვლილებების შეტანის) მოსაკრებლის (მათ შორის დაჩქარებული მომსახურების) გადახდის წესის და ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 სექტემბრის №31 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/09/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010250000. 35.105.016177) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-4 მუხლს დაემატოს ,,გ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახები.".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ლაშა გოგია**